

კრიპტოვალუტა, როგორც კაპიტალის ფორმირების საშუალება:
განვითარების პერსპექტივები და რისკები საქართველოში

ნატო ჭამიაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის
სკოლაში კერძო (ბიზნეს) სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნების შესაბამისად*

კერძო (ბიზნეს) სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გოჩა გოგიშვილი, მოწვეული ლექტორი



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნატო ჭამიაშვილი

23.06.2025

აბსტრაქტი

კრიპტოვალუტები, როგორც გლობალურად აღიარებული ციფრული ფინანსური ინსტრუმენტები, მნიშვნელოვან როლს თამაშობენ, როგორც ეკონომიკურ ისე, კომერციულ ბაზარზე. კრიპტოვალუტის გამოყენება, როგორც კაპიტალის ფორმირების ახალი საშუალება ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური და კომპლექსური საკითხია დღეს არსებულ სამართალში, როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე. კითხვები იზადება მის, როგორც სრულად ახალი ტიპის აქტივების, ინტეგრირებაზე და ინტეგრირების ეფექტიანობაზე, ტრადიციულ კორპორაციულ სამართალში. ნაშრომის მიზანია დაადგინოს შეიძლება თუ არა კრიპტოვალუტები ჩაითვალოს კაპიტალის ფორმირების სტაბილურ, სანდო და ეფექტიან საშუალებად.

ნაშრომი ემყარება შედარებით სამართლებრივ ანალიზს და ძირითადად მიმოიხილავს შვეიცარიის, როგორც ერთ-ერთი ყველაზე კრიპტომეგომრული ქვეყნის მიდგომას, ნაშრომით განსაზღვრულ საკვლევ საკითხთან დაკავშირებით. კვლევაში ყურადღება გამახვილებულია საქართველოში არსებულ საკანონმდებლო რეგულაციებზე, ზოგადად მსოფლიო რეგულაციების არაერთგვაროვნებაზე, კრიპტოვალუტის ფასის მერყეობაზე, საბაზრო ფასის განსაზღვრის სირთულეებზე და ფულის გათეთრებასთან დაკავშირებულ რისკებზე.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ კრიპტოვალუტები ინოვაციური გზაა ფორმირდეს კაპიტალი, მაგრამ მისი უსაფრთხო და სრულყოფილი ინტეგრაციისთვის საჭიროა საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელდეს შესაბამისი ცვლილებები, მათ შორის მკაფიოდ განისაზღვროს კრიპტოვალუტების ადგილი კერძო სამართალში, გაფართოვდეს და დაზუსტდეს პროცედურული მოთხოვნები და დაკონკრეტდეს ის კრიტერიუმები, რაც კრიპტოვალუტებს და ზოგადად არაფულად შენატანებს, შენატანის განსახორციელებლად რელევანტურ საშუალებად აქცევს.

Abstract

Cryptocurrencies, as globally recognized digital financial instruments, have an important role in both economic and commercial markets. Their use as a new form of capital contribution represents one of the most pressing and complex challenges in modern legal discourse, both locally and internationally. This raises fundamental questions regarding the integration of these completely new assets into traditional frameworks of corporate law and whether such integration can be considered effective and legally sound.

The aim of the paper is to determine whether cryptocurrencies can be considered a stable, reliable and effective means of capital formation. The paper is based on comparative legal analysis and mainly reviews the approach of Switzerland, as one of the most crypto-friendly countries, to the central research question in the thesis. The research examines Georgia's current legislative environment, the general inconsistency of global regulations, the volatility of cryptocurrency prices, the challenges in determining the market price, and the associated risks of money laundering.

The study concludes that while cryptocurrencies offer a innovative way for capital formation, their secure and comprehensive integration into Georgian corporate law requires legislative reform., including clearly defining the legal status of cryptocurrencies under private law and clarifying procedural standards and establishing specific criteria that make cryptocurrencies, and non-cash contributions in general, a relevant means of capital contribution.